N356 2015 წლის 20 ივლისი ქ. თბილისი

„საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის №576 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის №576 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/09/2014, 010320000.10.003.018196) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის (№1 დანართი) 3^1 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მთავარი საჯარო თანამდებობა:

ა) სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს (შემდგომში – საბჭო) მდივანი;

ბ) საბჭოს მდივნის მოადგილე;

გ) დეპარტამენტის დირექტორი;

დ) დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე.“;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. უმცროსი საჯარო თანამდებობა

ა) წამყვანი სპეციალისტი;

ბ) უფროსი სპეციალისტი;

გ) სპეციალისტი.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**